# საქართველოს მთავრობის
# განკარგულება

N 532 2019 წლის 15 მარტი ქ. თბილისი

**სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სახით გადაცემის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 113-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებისა და „სახელმწიფოს მიერ მუნიციპალიტეტებისთვის გადასაცემი ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სახეობათა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 6 ნოემბრის №527 დადგენილებით დამტკიცებული ნუსხის მე-2 პუნქტის თანახმად, დამტკიცდეს სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 22 თებერვლის №5/11054 გადაწყვეტილება ამ განკარგულების დანართით გათვალისწინებული უძრავი ქონების ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სახით გადაცემის შესახებ.

პრემიერ-მინისტრი მამუკა ბახტაძე

დანართი

| N | მისამართი | მიწის ნაკვეთი (არასასოფლო-სამეურნეო) | შენობა-ნაგებობა | საკადასტრო კოდი N |
|---|---|---|---|---|
| 1 | ქ. ლაგოდეხი, 26 მაისის ქუჩა | 703.00 კვ.მ. | N1 | 54.01.54.441 |
| 2 | ქ. ლაგოდეხი, 26 მაისის ქუჩა | 1624.00 კვ.მ. | N1 | 54.01.54.443 |
| 3 | ქ. ლაგოდეხი, 26 მაისის ქუჩა | 2040.00 კვ.მ. | N1 - აუზი, N2 - ძეგლი | 54.01.54.459 |
| 4 | ქ. ლაგოდეხი, 9 აპრილის ქუჩა | 3012.00 კვ.მ. | | 54.01.51.351 |
| 5 | ქ. ლაგოდეხი, 9 აპრილის ქუჩა | 2606.00 კვ.მ. | | 54.01.51.350 |